



ფინანსთა მინისტრის №996 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

*დაქირავებული მთელი
დამქირავებლის ავტომობილის
პირადი სარგებლობისათვის
გამოყენება*

2019 წლის 25 სექტემბერს განხორციელებული ცვლილებით, განისაზღვრა დაქირავებულის მიერ პირადი სარგებლობისათვის გამოყენებული დამქირავებლის ავტომობილის აღრიცხვისა და საგადასახადო ორგანოსათვის ასეთი ავტომობილის შესახებ ინფორმაციის მიწოდების წესი. კერძოდ:

- ავტომობილის პირადი სარგებლობისათვის გამოყენებად ითვლება, თუ შრომითი ხელშეკრულებით, წესდებით ან სხვა დოკუმენტით დაქირავებული უფლებამოსილია ავტომობილი გამოიყენოს პირადი (არასამსახურებრივი) მიზნებისათვის (აღნიშნული ეხება საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 კოდში აღნიშნულ მსუბუქ ავტომობილებს).
- თუ დაქირავებული ავტომობილს იყენებს პირადი სარგებლობისათვის, საშემოსავლო გადასახადი გადაიხდება სრულად, შესაბამის საანგარიშო პერიოდში პირადი სარგებლობისათვის გამოყენების დღეთა რაოდენობის მიუხედავად.
- თუ ორ ან მეტ ავტომობილს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში:
 - ერთდროულად იყენებს პირადი სარგებლობისათვის დაქირავებული, საშემოსავლო გადასახადი გადაიხდება ცალ-ცალკე – თითოეული ავტომობილის მიხედვით;
 - დროის სხვადასხვა მონაკვეთში იყენებს პირადი სარგებლობისათვის დაქირავებული, საშემოსავლო გადასახადი გადაიხდება იმ ავტომობილის მიხედვით, რომელსაც დაქირავებული საანგარიშო პერიოდის განმავლობაში უფრო მეტი დღის განმავლობაში იყენებს, ხოლო საანგარიშო პერიოდში პირადი სარგებლობისათვის გამოყენების დღეთა თანაბარი რაოდენობის

შემთხვევაში - იმ ავტომობილის მიხედვით, რომლის ძრავის მოცულობაც უმაღლესია.

- თუ ერთსა და იმავე ავტომობილს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში:
 - ერთდროულად იყენებს პირადი სარგებლობისათვის 2 ან მეტი დაქირავებული, საშემოსავლო გადასახადი გადაიხდება ცალ-ცალკე – თითოეულ დაქირავებულ პირთან მიმართებაში;
 - დროის სხვადასხვა მონაკვეთში იყენებს პირადი სარგებლობისათვის 2 ან მეტი დაქირავებული, საშემოსავლო გადასახადი გადაიხდება ცალ-ცალკე – თითოეულ დაქირავებულ პირთან მიმართებაში.

ამასთან, გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციაში განხორციელდა გარკვეული ცვლილებები და დაემატა დანართი „დ“, რომელშიც აისახება იმ ავტომობილის შესახებ ინფორმაცია, რომლის პირადი სარგებლობისათვის გამოყენებით მიღებული სარგებელიც ექვემდებარება დაბეგვრას საშემოსავლო გადასახადით.

წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 11 ოქტომბერი 2019

ცვლილება „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ მთავრობის №255 დადგენილებაში

№255 დადგენილებაში 2019 წლის 11 ოქტომბერს შეტანილი ცვლილებების მიხედვით:

გაზსადენების სამშენებლო კლასი

- დაბალი წნევის გაზსადენი, ასევე ისეთი საშუალო წნევის გაზსადენი, რომლის შიდა დიამეტრი არ აღემატება 100 მმ-ს განეკუთვნება პირველ კლასის ნაგებობას.
- 100 მმ-ზე მეტი შიდა დიამეტრის საშუალო წნევის გაზსადენი, ასევე ყველა მაღალი წნევის გაზსადენი განეკუთვნება მესამე კლასის ნაგებობას.
- ცვლილების მიხედვით, პირველი კლასის გაზსადენის მშენებლობა/მონტაჟის შემთხვევაში, შეტყობინებას თან უნდა დაერთოს არქიტექტურული პროექტი და ტექნოლოგიური სქემა.

წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 11 ოქტომბერი 2019

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის № 10/04 ბრძანება „კომერციული ბანკების მიერ მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე“

**ცვლილება მინიმალურ
სარეზერვო ნორმასთან
დაკავშირებით**

2019 წლის 2 ოქტომბერს განხორციელებული ცვლილების მიხედვით, უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრებისათვის მინიმალური სარეზერვო ნორმა არის 25%, გარდა ნარჩენი ვადიანობის მიხედვით უცხოური ვალუტით 365 დღიდან 730 დღემდე ვადიანობის ნასესხები სახსრებისა.

წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 11 ოქტომბერი 2019

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის № 178/04 დადგენილება "ფინანსური ინსტიტუტების ჩამონათვალის გაფართოებისა და სესხის გამცემი სუბიექტებისთვის ფინანსური ინსტიტუტის სტატუსის მინიჭების თაობაზე"

**სესხის გამცემ სუბიექტთა
სტატუსი**

კომერციულ ბანკთან ფინანსური გირაოს ხელშეკრულების გაფორმების მიზნებისათვის, სესხის გამცემ სუბიექტებს, რომლებიც წარმოადგენენ იურიდიულ პირებს, ენიჭებათ ფინანსური ინსტიტუტის სტატუსი.

წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 12 ოქტომბერი 2019

კანონის პროექტი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

**შენიშვნა-ნაგებობები, რომელიც
იწვევს მუნიციპალიტეტის
იერსახის დამახინჯებას**

2019 წლის 3 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მეორე მოსმენით განიხილა კანონპროექტი, რომლითაც იმ შენობა-ნაგებობის შეკეთების (რემონტის), რეკონსტრუქციის, აღდგენის ან/და დემონტაჟის განუხორციელებლობა, რომელიც იწვევს მუნიციპალიტეტის იერსახის დამახინჯებას და რომელიც მდებარეობს საზოგადოებრივი სივრციდან ვიზუალური აღქმის არეალში, გამოიწვევს დაჯარიმებას შემდეგი ოდენობით:

ტერიტორია	ჯარიმა (ლარი)
თბილისი	5000
ტყის ფონდისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე	5000
კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო- სარეკრეაციო ზონებში	5000

სპეციალური რეჟიმის ზონაში	5000
თვითმმართველ ქალაქში	1000
მუნიციპალიტეტის დასახლებაში- ქალაქში	500
მუნიციპალიტეტის დასახლებაში- დაბაში ან სოფელში	200

- პროექტის მიხედვით, იერსახის დამახინჯებად ჩაითვლება შენობა-ნაგებობის არსებობა, რომელსაც დაზიანებული აქვს გარე მოპირკეთება, გადახურვა, შემინვა, შემოღობვა, გარეშემოშლუდავი კონსტრუქციები.
- კანონი არ გავრცელდება საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე არსებულ საცხოვრებელ სახლებზე, ასევე არ ვრცელდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე და იმ შენობა-ნაგებობებზე, რომლებიც გამოიყენება საცხოვრებელი მიზნით.

წყარო: საქართველოს პარლამენტი, 11 ოქტომბერი 2019

საქართველოს კანონის პროექტი „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“

2019 წლის 15 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მეორე მოსმენით განიხილა კანონის პროექტი „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“.

კანონის პროექტით, იცვლება შემდეგი საკითხები:

ანგარიშვალდებულთა სია

- ანგარიშვალდებულთა სიას ემატება დაზღვევის/გადაზღვევის ბროკერი, საადვოკატო ბიურო და სერთიფიცირებული ბუღალტერი.

ცვლილება დეფინიციებში

- განისაზღვრება შემდეგი ახალი ტერმინები:
 - **ერთჯერადი გარიგება** - გარიგება, გარდა საქმიანი ურთიერთობის ფარგლებში მომზადებული, დადებული ან შესრულებული გარიგებისა,

რომელიც გულისხმობს საქართველოს
კანონმდებლობით განსაზღვრული მომსახურების
გაწევას;

- **საქმიანი ურთიერთობა** - განგრძობადი ხასიათის
კომერციული ან პროფესიული ურთიერთობა,
რომელიც ანგარიშვალდებული პირის მიერ
კლიენტისთვის საქართველოს კანონმდებლობით
განსაზღვრული მომსახურების გაწევას
გულისხმობს;
- **ვერიფიკაცია** - ისეთი ინფორმაციის მოპოვება,
რომელიც პირს საშუალებას აძლევს, გადაამოწმოს
კლიენტის შესახებ მოპოვებული საიდენტიფიკაციო
მონაცემები, ბენეფიციარი მესაკუთრის შემთხვევაში
დარწმუნდეს, რომ მისთვის ცნობილია
ბენეფიციარი მესაკუთრის ვინაობა.

**პრევენციული ღონისძიებების
გატარების ვალდებულება**

- კანონის პროექტით, ანგარიშვალდებული პირი
ვალდებულია, გაატაროს პრევენციული ღონისძიებები:
 - საქმიანი ურთიერთობის დამყარებისას;
 - ერთჯერადი გარიგების დადებისას, თუ გარიგების
თანხა ან დაკავშირებული გარიგებების ჯამური
თანხა აღემატება 15,000 ლარს ან მის ეკვივალენტს
სხვა ვალუტაში;
 - ფულადი სახსრების ერთჯერადი გადარიცხვისას,
თუ გარიგების თანხა ან დაკავშირებული
გარიგებების ჯამური თანხა აღემატება 3,000 ლარს
ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში;
 - კანონით გათვალისწინებული ეჭვის გაჩენის
შემთხვევაში.
- კანონის პროექტით, ანგარიშვალდებული პირი
ვალდებულია გაატაროს შემდეგი სახის პრევენციული
ღონისძიებები:
 - კლიენტის იდენტიფიკაცია და ვერიფიკაცია;
 - ბენეფიციარი მესაკუთრის იდენტიფიკაცია და
შესაბამისი ზომების მიღება ვერიფიკაციისთვის;
 - საქმიანი ურთიერთობის მიზნის და განზრახული
ხასიათის დადგენა;
 - საქმიანი ურთიერთობის მონიტორინგი.

წყარო: საქართველოს პარლამენტი, 11 ოქტომბერი 2019

კანონის პროექტი "შრომის კოდექსში" ცვლილებების შეტანის თაობაზე.

2019 წლის 23 სექტემბერს, საქართველოს პარლამენტს წარედგინა კანონის პროექტი „შრომის კოდექსში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე. კანონის პროექტის მიხედვით:

**ზეგანაკვეთური სამუშაო
დროის მაქსიმალური
ხანგრძლივობა**

- ზეგანაკვეთური სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს დღე-ღამის განმავლობაში 2 საათს, ხოლო კვირის განმავლობაში 8 საათს.
- სპეციფიკური რეჟიმის მქონე საწარმოებისთვის ზეგანაკვეთური სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს დღე-ღამის განმავლობაში 2 საათს, ხოლო კვირის განმავლობაში 6 საათს.

წყარო: საქართველოს პარლამენტი, 11 ოქტომბერი 2019



ჩვენ მოხარული ვიქნებით მოგაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს მითითებულ ცვლილებებს თქვენს საქმიანობაზე.

სერგი კობახიძე

პარტნიორი, საგადასახადო და იურიდიული პრაქტიკა

E-mail: sergi.kobakhidze@pwc.com

ტელ: + 995 32 250 80 50

ვანო გოგელია

იურიდიული პრაქტიკის ხელმძღვანელი

E-mail: vano.gogelia@pwc.com

ტელ: + 995 32 250 80 50

PwC საქართველო კლიენტებს სთავაზობს ინტეგრირებულ აუდიტორულ, საგადასახადო, იურიდიულ და საკონსულტაციო მომსახურებებს. PwC-ის ქსელი მსოფლიოს მასშტაბით შედგება 208,109 პროფესიონალისგან, რომლებიც დასაქმებული არიან 157 ქვეყნის 756 ოფისში.

PwC საქართველოს საგადასახადო მომსახურების ფარგლებში კლიენტებს სთავაზობს საგადასახადო საკონსულტაციო მომსახურებებს, სატრანსფერო ფასწარმოქმნის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას, საგადასახადო დავებში წარმომადგენლობას, საერთაშორისო დაბეგვრის საკითხებთან მიმართებით კონსულტაციებს, საგადასახადო სტრუქტურირებას და სხვ.

PwC საქართველო იურიდიული მომსახურების ფარგლებში კლიენტებს სთავაზობს საკორპორაციო, სახელშეკრულებო საკითხებთან დაკავშირებით სამართლებრივ დახმარებას, კომპანიათა რეორგანიზაციას, კონკურენციის სამართლის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას, სასამართლოში წარმომადგენლობას, სამშენებლო, შრომის და სხვა სამართლებრივ მომსახურებებს. ჩვენ წარმოვადგენთ ყველაზე ფართო გეოგრაფიული დაფარვის მქონე იურიდიული მომსახურების ქსელს მსოფლიოში, 3,200 იურისტით 85-ზე მეტ ქვეყანაში.

ეს მასალა მომზადებულია მხოლოდ ზოგადი ინფორმაციის მიწოდების მიზნით და არ უნდა განიხილებოდეს პროფესიულ რეკომენდაციად. ამ მასალაში შემავალი ინფორმაციაზე დაყრდნობა შესაბამისი პროფესიონალური კონსულტაციის გარეშე არ არის მიზანშეწონილი. ამ მასალით PwC არ იღებს არანაირ გარანტიას (გამოხატულს ან ნაგულისხმევს) ინფორმაციის სიზუსტესა თუ სისრულეზე და არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი სახის შედეგებზე, გამოწვეული იქნება ეს თქვენი ან სხვა ვინმეს ქმედებით დაყრდნობის ამ ინფორმაციას და/ან მიიღოს გადაწყვეტილება შესაბამისი კონსულტაციების გარეშე.

© 2019 PwC. All rights reserved. PricewaterhouseCoopers Georgia LLC refers to the PwC network and/or one or more of its member firms, each of which is a separate legal entity. Please see www.pwc.com/structure for further details.